ლითონის ისრისპირები სამშვილდედან

თვალაძე შოთა,
საქართველოს უნივერსიტეტი
shota.ug.tvaladze@gmail.com

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.4



სურ. 1 Pic.

ისრის, იგივე ზროს ყველაზე ძველი სახეობა, რომელიც საქართველოშია აღმოჩენილი, პალეოლითის ხანას განეკუთვნება და დამზადებულია კაჟისგან [ელაშვილი. 1959. 26]. ადრებრინჯაოს ხანაში ადამიანი განვითარების სხვა საფეხურზე გადადის, რის შემდგომაც ისრისპირები მზადდებოდა ისეთი მასალისგან, როგორიც არის: კაჟი, ხე, ობსიდიანი, ძვალი, ბრინჯაო და რკინა. კოლხებში ისრისპირების გამოყენება ნაკლებად შეიმჩნევა. ქსენოფონტე სამხრეთ-ქართველურ ტომებს შორის გამოყოფს მხოლოდ კარდუხებს [კავკასიელი მონადირე, შემგროვებლები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე], რომელთა ძირითად იარაღს სწორედ მშვილდ-ისარი წარმოადგენდა [ბერულავა. 2013. 19]

სულხან საბა ორბელიანის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველოში ცნობილია 11 ტიპის ისარი. „ისარი ზოგადი სახელი არს ყოველთა ისართაი. ხოლო განიყოფიან სხუა და სხუა სახელებითა. ფრთე დაბალი და პირ წურილი, რომელსა ყივჩაყნი და თურქნი იქონებენ, არის საყალნო, ზომიერი ისარი, ფრთე მობრტყე და პირ მობრტყე არს სარჩა. მისგან უგრძესი, პირ დიდი და ფრთე მაღალი არს ქეიბური. ისარი სარჩის მსგავსი და პირგანპებული მომცრო არს ქიბორჯი. ისარი ქეიბურის მსგავსი, პირ დიდი და განპებული არს ბოძალი. ისარი სარჩის ტოლი, სამ ფრთოსანი, უპირო წვერ-მგრგუალი არს ყოდალი. ყოდლისა უგრძესი წუერმწვეტი ჯვარედად ჩხირ დასხმული არს ღრჯა. ფრთე მაღალი, გრძელი, გრკალ შემობმული არს სეფქა. უფრთო უპირო ისარი არს გეზი. სამალი არს ღარი რკინისა სატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი მის ღარით სასროლი. სხუანიც რამ ისარნი არიან, რომელსამე ბორძლად უწოდენ და სხუ-

ასა სხუასა. ხოლო ყრმათა ისარ ცუდასა - წინწკიტელა“[ელაშვილი. 1959. 26].

ისრის წვერების თითოეულ ჩამოთვლილ სახეობას გააჩნია თავისი უპირატესობა. მაგალითად, ბლაგვწვერიანი ისრის პირების გამოყენება, მოსახერხებელი იყო ფრინველებზე და პატარა ძვირფას ტყავიან ცხოველებზე სანადიროდ. ბლაგვბოლოიანი ისრის წვერები სწორი წვერით გამოიყენება თევზაობის დროს. ამ შემთხვევაში ისარი გამოებმებოდა მშვილდს გრძელი თოკით.

წინამდებარე სტატიაში, ვისაუბრებ საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, სამშვილდის ნაქალაქარზე (სურ.1) აღმოჩენილ სამ ისრისპირზე.

საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია, სამშვილდის ნაქალაქარზე უკვე მეშვიდე წელია აწარმოებს არქეოლოგიურ კვლევებს. [ბერიკაშვილი და სხვა. 2012-2019] სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად აღმოჩენილია სამი ტიპის ისრისპირი. აქედან ერთი ისრისპირი აღმოჩნდა სამშვილდის ციტადელში, კერძოდ თხრილ № 60-ში (სურ.2) ხოლო ორი ისრისპირი ნაქალაქარის აღმოსავლეთით, სიონის უბანზე თხრილ № 8-ში (სურ. 3).




სურ. 2 Pic.



სურ. 3 Pic.

თხრილი № 60 - მდებარეობს ციტადელში, სამეფო აბანოს აღმოსავლეთით (სურ.4). აღნიშნული თხრილის შესწავლა დაიწყო 2016 წელს. კორდოვანი ფენის მოხსნისთანავე, მიწის ზედაპირიდან 20 სმ სიღრმეზე, გამოჩნდა ბაზალტის მოზრდილი კვადრების წყობა, ხოლო მის ქვეშ აღმოჩნდა კიდევ უფრო ადრეული პერიოდის სათავსო ნაგებობის ნანგრევები. დადგინდა, რომ აღნიშნული ნანგრევი წარმოადგენდა სათავსოს კედლებისა და გადახურვის ნაშთს. სათავსოს დათარიღებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მოჭიქული ჯამის აღმოჩენა (სურ.5), რომელიც თავისი ჭიქურქვეშა გრავირებითა და შეფერილობით დამახასიათებელია განვითარებული შუა საუკუნეებისათვის, კერძოდ XII–XIII სს. აღნიშნულ ჯამთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე მინის სამაჯურის ფრაგმენტები და მინისავე ნაწარმისგან დამზადებული თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ასევე განვითარებული შუა საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოადგენდა სათავსოს დასავლეთ მონაკვეთში მონეტების განძის პოვნა. აღნიშნული განძი აერთიანებს ქართველი მეფეების მონეტებს: დემეტრე I-ის (1125–1156), გიორგი III-ის (1156 –1184), გიორგი III-ისა და თამარის (1178–1184), თამარის (1184–1210), გიორგი IV ლაშას (1210–1223), რუსუდანის (1223–1245). როგორც ვხედავთ აღნიშნული მონეტები მთლიანად ადასტურებენ თხრილ № 60-ის სათავსოს თარიღს [ბერიკაშვილი, პატარიძე. 2019. 52]



სურ. 4 Pic.



სურ. 5 Pic.

როგორც უკვე აღინიშნა, ერთ - ერთი ისრისპირი (სურ.6) აღმოჩენილია თხრილ № 60-ის, კონტექსტ № 6-ში, რომელიც წარმოადგენს ნგრევის შედეგად დატოვებულ აგურის ნაყარს და განფენილია კირით მოლესილი სათავსოს იატაკზე, ქვეშ მოყოლებული აქვს ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის ფრაგმენტები და დოქის ნამტვრევები. [ბერიკაშვილი და სხვა. 2017. 6 – 8] ისრისპირი აღმოჩენილია მიწის ზედაპირიდან 1,30 სმ - სიღრმეზე, ხოლო ნულოვანი წერტილიდან 4,8 მ. ლითონისგან დამზადებული ისრისპირი რკინისაა. თავის შუა ნაწილი აქვს ოდნავ ფართე და ოთხწახნაგა, ბოლოში წაწვეტებული წვერით, რომელიც თავისი ფორმით საბრძოლო დანიშნულებისათვის უნდა ყოფილიყო დამზადებული. აღმოჩენილი მასალის მიხედვით, რომელიც ზემოთ იყო განხილული, (ჯამი, მინის სამაჯურები, მინის თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, მონეტების განძი) შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ისრისპირი განეკუთვნება განვითარებულ შუასაუკუნეებს და მისი ქრონოლოგიური ჩარჩო უნდა იყოს XII – XIII სს.



სურ. 6 Pic.

ორი ისრისპირი (სურ.7. სურ.8), აღმოჩენელია სამშვილდის ციტადელის აღმოსავლეთით, ეგრეთ წოდებულ სიონის უბანზე, კერძოდ თხრილ № 8-ში. აღნიშნული თხრილის კვლევა ექსპედიციამ დაიწყო 2016 წელს [ბერიკაშვილი და სხვა. 2016. 10]. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ თავი იჩინა განვითარებული შუა საუკუნეების მასალამ, რომლის ფენის სისქე იყო 40-60 სანტიმეტრი სიმძლავრის და მთლიანად ფარავდა ბაზალტის დედაქანზე მოწყობილ ე.წ. კირის მოედანს. ამავე ფენაში, ჩაშვებული იყო გვიანდელი და შუა საუკუნეების სამარხები, სამეურნეო ორმოები, რო-

მელიც შეადგენდა სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ მონაპოვარსა და პერიოდს. ისრისპირები აღმოჩენილია კონტექსტ № 1-ში, რომელშიც აღმოჩნდა; ობსიდიანის ანატკეცები და ანამტვრევები, მოჭიქული და სადა კეციანი კერამიკის ფრაგმენტები, ლითონის ნივთები, ძალზედ მცირე ოსტეოლოგიური მასალა და დამუშავებული სათამაშო კოჭები. აღნიშნული მასალის თარიღი, რომელიც მრავალფეროვანია, თარიღდება XII-XV საუკუნეებით [ბერიკაშვილი და სხვა. 2016.10]. აღმოჩენილი სამარხები სტრატიგრაფიულად განეკუთვნება გვიანდელ შუა საუკუნეებს, შესაძლებელია სამშვილდეში ერთ - ერთი შემოსევის დროს (ჯაჰან - შაჰის შემოსევა 1440 წ). თომა მაწოფელის ცნობით ყარა-ყოინლუს თურქმანთა სახელმწიფოს მბრძანებელმა და თავრიზის მეფემ სამშვილდის მოსახლეობა განსაკუთრებული სისასტიკით დასაჯა, რითიც შეიძლება აიხსნას ექსპედიციის მიერ გამოვლენილ სამარხებში თითქმის ყველა ადამიანის ძალისმიერი ხერხებით მოკვდინების კვალის არსებობა [ბერიკაშვილი და სხვა. 2016. 13]. ორივე ისრისპირს განსხვავებული ფორმა გააჩნია. ერთ (სურ. 7) შედარებით ვიწრო, ბრტყელი ფორმის, რომელსაც შუაში ვერტიკალური ზოლი მოყვება, თავი ბოლოსკენ უვიწროვდება, მეორე ისრისპირი (სურ. 8) ოთხწახნაგა, ბოლოსკენ შევიწროვებულია და საბრძოლო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. მეტალის ნივთიერება აქაც არის რკინა. აღნიშნული ორი ისრისპირი, რომელიც აღმოჩნდა თხრილ № 8-ში, სხვა არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად (კერამიკის ფრაგმენტები, სათამაშო კოჭები, სამარხები) გვაძლევს დათარიღების საშუალებას და მათ აქცევს X-XV საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში.



სურ. 7 Pic.



სურ. 8 Pic.

დასკვნა - საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევის შედეგად, სამშვილდის ნაქალაქარზე აღმოჩენილია სამი განსხვავებული ფორმის ლითონის ისრისპირი, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო არ სცდება XII-XV საუკუნეებს. სამივე, ერთი და იმავე დანიშნულების, ნივთი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალაქის მნიშვნელობასა და ბრძოლისუნარიანობას, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და იარაღის აღმოჩენები, მათი ნაირსახეობა კიდევ უფრო ამყარებენ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს იმის შესახებ თუ რამდენად ხშირად უწევდა ისტორიულ ქალაქ სამშვილდეს ბრძოლების გადატანა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიკაშვილი, დ., გაგოშიძე, გ., გაბუნია, თ. (2012). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., გაგოშიძე, გ., გაბუნია, თ., ცირამუა, ს. (2013). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., ცირამუა, ს., გიგილაშვილი, დ., გაგოშიძე, გ., გაბუნია, თ. (2014). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., ივანიშვილი, ი., ლომიძე, ვ., ოდილავაძე, დ., ბუხსიანიძე, მ., გაბუნია, თ. (2015). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., ბუხსიანიძე, მ., ყვავაძე, ე., ბითაძე, ლ., გაბუნია, თ. (2016). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., გრიგოლია, გ., ყვავაძე, ე., მიულერი, ა., კუპალი, ი. (2017). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., გრიგოლია, გ., პატარიძე, მ., კუპალი, ი. (2018). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., კუპალი, ი., ივანიშვილი, ი. (2019). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერულავა, ნ. (2013). *კოლხური შეიარაღების განვითარება ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანებში.* თბილისი.

ელაშვილი, ვ. (1959). *მშვილდოსნობა.* თბილისი.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ.№ 1. სამშვილდის ნაქალაქარი [ავტორი დ. ბერიკაშვილი].

სურ.№ 2. თხრილი № 60 [ავტორი დ. ბერიკაშვილი].

სურ.№ 3. თხრილი № 8 [ავტორი დ. ბერიკავილი].

სურ.№ 4. სამშვილდის ტოპოგრაფიული გეგმა [ავტორები ი. ივანიშვილი. ვ. ლომიძე].

სურ.№ 5. მოჭიქული ჯამი [ავტორი შ. თვალაძე].

სურ.№ 6. ლითონის ისრისპირი [ავტორი შ. თვალაძე].

სურ.№ 7. ლითონის ისრისპირი [ავტორი შ. თვალაძე].

სურ.№ 8. ლითონის ისრისპირი [ავტორი შ. თვალაძე].

Metal Arrowheads from Samshilde

Tvaladze Shota,
University of Georgia
shota.ug.tvaladze@gmail.com

Summary

The University of Georgia's Samshvilde Archaeological Expedition has been conducting archaeological research for seven years in the city site of Samshvilde. Three different types of arrowheads have been discovered along with various archaeological findings. One of the arrowheads was found in the Samshvilde Citadel, specifically in trench No. 60 (fig. 2) and two in the east of the city site, at trench No. 8 in the Sioni district (fig. 3). Trench No. 60 - located in the Citadel, east of the Royal Bath (fig. 4). The study of this trench began in 2016. Upon removal of the cordon layer, at the depth of 20 cm from the ground surface, a large basalt quadric structure appeared, and beneath it was found the remains of an even earlier period storage building. It was deduced that the said debris represented the remains of the walls and the roof of the depot. For dating of the storage building, the discovery of the glazed bowl (fig. 5) was essential, which is characteristic of the developed Middle Ages with its glazed engraving and coloring, in particular XII - XIII centuries. Along with the mentioned bowl were also found fragments of glass bracelet and fragments of thin-walled vessels also made of glass, which are also characteristic of the developed Middle Ages. One of the most important discoveries was the discovery of coins in the western part of the storage building. The treasure of these coins cover the period of kings; Demetre I (1125–1156) Georg III (1156–1184), Georg III and Tamar (1178–1184), Tamar (1184–1210), Georg IV Lasha (1210–1223), Rusudan (1223–1245). As we can see the above coins fully confirm the date of the trench No. 60. As already noted, one of the arrowheads (fig. 6) is found in Trench No. 60, in Context No. 6, which represents the bulk of the bricks left behind by the demolition, and is scattered on the limed floor of a storage room, underneath which are flat and furrow-like tile fragments and clay pitcher scraps. Arrowhead is found at the depth of 1.30 cm from the surface, and 4.08 cm from the zero point. The metal arrowhead is made of iron. The middle part is slightly wide and quadruped, with a sharp tip, which should have been designed for combat purposes. According to the discovered material discussed above (bowl, glass bracelets, fragments of thin-walled glass vessels, coin treasures), we may think that the mentioned arrowhead belongs to the developed Middle Ages and its chronological frame must be XII - XIII centuries. Two arrowheads (fig. 7, fig. 8), are found east of the Samshvilde Citadel at the so-called Sioni site, specifically in the trench №8. The expedition began the research of the aforementioned trench in 2016. After removing the cordon layer, a developed medieval material appeared, the thickness of which was 40-60 cm and completely covered the Basalt foundation of Lime Square. In the same layer, late and medieval tombs, agricultural pits, comprising various types of archaeological excavations and periods were discharged. The arrowheads were found in context No. 1 in which were found: Offsidian scraps and flakes, glazed and plain ceramic fragments, metal items and small osteological material and processed toy spools. The date of this material, which is diverse, dates back to the 12th - 15th centuries. The discovered tombs are stratigraphically dating to the late Middle Ages, possibly during one of the invasions of Samshvil-

de (Jahan - Shah invasion in 1440). According to Toma Motsapeli, the ruler of the Turkman state of Kara Koyunlu and the king of Tavriz punished the people of Samshvilde with extreme cruelty, which may explain the forceful deaths of almost all humans in the tombs revealed by the expedition [Berikashvili and other. 2016. 13]. Both arrowheads have different shapes. One (fig. 7) is of a relatively narrow, flat shape with a vertical stripe in the middle, with the head narrowed at the end; The second arrowhead (fig. 8) is four-sided, narrow ended, and should have been made for combat. The metallic substance here, too, is iron. The mentioned two arrowheads, found in Trench No. 8, together with other archaeological finds [pottery fragments, toy bits, tombs] allow us to date them and place them in a chronological framework of 10 - 15 centuries. Conclusion - As a result of the Archaeological Expedition of the University of Georgia Samshvilde Expedition, three different forms of metal arrowheads were found in the town of Samshvilde, the chronological framework of which does not go beyond the XII-XV centuries. All three items of the same purpose reaffirm the city's importance and ability to fight, its geographical location and weapon discoveries, their variety is further supported by reports in Georgian and foreign written sources of how often the historic city of Samshvilde had to face battle.

Description of illustrations

Pic. № 1. Former city Samshvilde [By D. Berikashvili].
Pic. № 2. Trench №60 [By D. Berikashvili].
Pic. № 3. Trench №n8 [By D. Berikashvili].
Pic. № 4. Topographic Plan of Samshwilde [By I. Ivanishvili V. Lomidze].
Pic. № 5. Glazed bowl [By Sh. Tvaladze].
Pic. № 6. Metal arrowhead [By Sh. Tvaladze].
Pic. № 7. Metal arrowhead [By Sh. Tvaladze].
Pic. № 8. Metal arrowhead [By Sh. Tvaladze].